აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების კვებითი ქცევის ასაკობრივი თავისებურებები 2-6, 6-9, 9-12 წლის ასაკობრივ ჯგუფებში

თამარ ბუთხუზი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე წკრიალაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ბუთხუზი

თარიღი: 14. 06. 2026 წელი

აბსტრაქტი

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებში კვებითი ქცევის სირთულეები ხშირია და მოიცავს შერჩევით კვებას, სენსორულ მგრძნობელობას, კვებით რუტინულობასა და ახალი საკვების მიღების სირთულეებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი საერთაშორისო ლიტერატურაში ფართოდ არის შესწავლილი, კვებითი ქცევის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ არსებული მონაცემები არაერთგვაროვანია, ხოლო ქართულ კონტექსტში შესაბამისი კვლევები მწირია.

კვლევის მიზანი იყო აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების კვებითი ქცევის ასაკობრივი თავისებურებების შესწავლა 2–6, 6–9 და 9–12 წლის ასაკობრივ ჯგუფებში. კვლევაში მონაწილეობდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 15 ბავშვი. მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა კვების შეფასების კითხვარი, ორალ-მოტორული შეფასების კითხვარი და კვების ჩანაწერების ფორმა. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა აღწერითი და შედარებითი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე გავრცელებული კვებითი მახასიათებლები იყო შერჩევითი კვება, სენსორული მგრძნობელობა და შეზღუდული კვებითი რეპერტუარი. მიუხედავად იმისა, რომ გამოვლინდა გარკვეული ასაკობრივი ტენდენციები, ასაკობრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა.

მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ კვებითი სირთულეები ფართოდ არის გავრცელებული აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებში ასაკის მიუხედავად. კვლევა ხელს უწყობს აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების კვებითი ქცევის ასაკობრივი თავისებურებების უკეთ გააზრებას და აღნიშნული საკითხის შემდგომ შესწავლას ქართულ კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: აუტიზმის სპექტრის დარღვევა, კვებითი ქცევა, შერჩევითი კვება, სენსორული მგრძნობელობა, ასაკობრივი თავისებურებები.

Abstract

Children with Autism Spectrum Disorder (ASD) frequently experience feeding problems, including food selectivity, sensory sensitivity, feeding routines, and difficulty accepting new foods. Although this topic has been widely investigated in the international literature, the results regarding age-related characteristics of feeding behavior remain inconsistent, and studies in the Georgian context were scarce.

The aim of the present study was to investigate the age-related characteristics of feeding behavior in children with ASD in three age groups (2–6, 6–9, and 9–12 years old). Fifteen children with ASD participated in the sample. Data collection was done using the Feeding Assessment Questionnaire, Oral-Motor Assessment Questionnaire, and Food Record Form. Data analysis was conducted using both descriptive and comparative statistical methods.

The results indicated that the most common feeding characteristics were food selectivity, sensory sensitivity, and a limited food repertoire. Descriptive analysis did show some age-related trends, but there were no statistically significant differences between the age groups.

Children with ASD commonly experience feeding difficulties, regardless of their age, as indicated by the findings. This study enhances our understanding of the feeding characteristics associated with age in children with ASD and opens avenues for further research within the Georgian context.

Keywords: Autism Spectrum Disorder, feeding behavior, food selectivity, sensory sensitivity, age-related characteristics.

მადლობა

მადლობას ვუხდი ორგანიზაცია „ი. ბოკერიას სახელობის ნეიროგანვითარების ცენტრს” კვლევის განხორციელების შესაძლებლობისა და მხარდაჭერისთვის, ასევე კვლევაში მონაწილე ბავშვების მშობლებს თანამშრომლობისა და ჩართულობისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ელენე წკრიალაშვილს, პროფესიული მხარდაჭერისთვის, გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.